კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ქ.დედოფლისწყაროს #2 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მეოთხე კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	სულხან-საბა ორბელიანის ,,ძუნწი და ოქრო“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	ყურადღება გამახვილდა სოციალურ მეწარმეობაზე დაისვა კითხვები: ვინ არის მეწარმე? რა არის მეწარმეობა? რას ნიშნავს სოციალური ეწარმეობა? მასწავლებელმა ჩაინიშნა ბრეინშტორმინგის მეთოდით მუშაობისას გამოთქმული ვარაუდები. მასწავლებლის მიერ განიმარტა სოციალური მეწარმეობის არსი, რომ იგი ბიზნესის ,,ახლებურ გზას“ გულისხმობს. ჩვეულებრივი მეწარმეობისგან მას განასხვავებს სოციალური ბუნება .ის იქმნება კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად და მოგებაც ხმარდება პრობლემის გადაჭრა-მოგვარებას. სოციალურ მეწარმეობას აქვს შემდეგი მახასიათებლები: • აქვს მკაფიო სოციალური მისია; • ახორციელებს სოციალურ აქტივობებს; • შემოსავალი ორიენტირებულია საოპერაციო ხარჯების დაფარვასა და სოციალური პრობლემის მოგვარებაზე. მას აქვს 2 მიზანი: ეკონომიკური და სოციალური მასწავლებელმა გააცნო ბავშვებს სოციალური საწარმოების მაგალითები. სოციალური საწარმო ერთ-ერთია Toms Shoes, რომელიც დაარსდა აშშ-ში 2006 წელს. კომპანიის კონცეფცია ,,ერთი ერთისთვის“ გულისხმობს იმას, რომ მომხმარებლის მიერ ერთი წყვილი ფეხსაცმლის შეძენისას მეორე წყვილი ფეხსაცმელი ეგზავნება სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს არგენტინაში, სამხრეთ აფრიკაში, გვატემალაში, მექსიკაში. მოსწავლეებს მიეცათ დავალება ჯგუფებში.

	• წარმოედგინათ ის სოციალური პრობლემები, რომლებიც მათ გარშემოა. • დაესახათ ბიზნესგეგმა, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდათ. საბოლოოდ მოსწავლეები შეთანხმდნენ, დაეთესათ ჯეჯილი, სააღდგომოდ გაეყიდათ და დახმარებოდნენ გაჭირვებულ თანატოლს.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	კითხვა-პასუხის მეთოდი, როლური თამაში, რეპორტაჟის წაყვანა, დისკუსია, სხვა ნაწარმოებთან დაკავშირება და მსგავსება-განსხვავების პოვნა, მოთხრობის გაგრძელება სასურველი სიუჟეტით.
აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	შეარჩია სულხან-საბა ორბელიანის იგავი :,,ძუნწი და ოქრო.“ მოსწავლეებმა განიხილეს საკითხი, რომელიც ეხებოდა დაგროვილი ქონების სწორად განკარგვას. გაკვეთილი წარიმართა ინტერაქციული სწავლების მეთოდით. მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყო სიხარბის განმსაზღვრელი ფრაზით: ,,სიხარბე არის უზომო მიჯაჭვულობა სიმდიდრისა და ნებისმიერი საგნის ფლობის მიმართ. იგი შედის 7 მთავარ მანკიერებათა რიცხვში: ამპარტავნება, შური, მცონარობა(სიზარმაცე), მრისხანება, ავხორცობა, გაუმაძღრობა. იგავზე მუშაობისას მოსწავლეებმა პასუხი გასცეს კითხვებს: • რატომაა ადამიანი მიდრეკილი, დააგროვოს სიმდიდრე? • რას წარმოადგენს ფინანსური კეთილდღეობა? • რა არის ქონების დანიშნულება? რაში უნდა გამოიყენოს იგი ადამიანმა? არსებულ პრობლემაზე ყურადღების გასამახვილებლად, სამსჯელოდ და საკუთარი აზრის გამოსახატავად გაკვეთილზე გამოიყენეს შემდეგი აქტივობები: $მოსწავლეებმა წარმოადგინეს როლური თამაში: თავად შექმნეს დეკორაციები და გააფორმეს მუსიკალურად. $რეპორტაჟი წაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან და კითხვები დაუსვეს პერსონაჟებს. $იმსჯელეს მთავარი პერსონაჟების ქმედებების მართებულობაზე.

	💲დაუსვეს კითხვები ავტორს. 💲დაწერეს იგავის გაგრძელება. 💲რჩევები მისცეს პერსონაჟებს ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით.. 💲იგავის ეპიზოდები წარმოადგინეს ნახატების სახით. 💲სულხან-საბას იგავი „ძუნწი და ოქრო“ განიხილეს ბიბლიურ იგავ „ტალანტის გამრავლებასთან“ კონტექსტში. იპოვეს მსგავსება-განსხვავება მათ შორის. აქტივობების განხილვის შემდეგ გაიმართა დისკუსია: როგორ და რაში უნდა გამოიყენოს ადამიანმა დაგროვილი სიმდიდრე? გამოთქმული აზრებიდან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საჭიროა ფულის ნაწილის კვლავ დაბანდება მისი გაზრდის მიზნით, მაგრამ ასევე აუცილებელია მისი გამოყენება ქველმოქმედებისთვის. არ უნდა დავივიწყოთ ისინი, ვისაც ჩვენი დახმარების გარეშე გაუჭირდება დამოუკიდებლად თავის გატანა. გაკვეთილზე დაიბადა იდეა, მოსწავლეებს დაეთესათ ჯეჯილი, გაეყიდათ და დაგროვებული ფულით დახმარებოდნენ გაჭირვებულ თანატოლს. მათ ამ ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს, გამართეს „საკლასო ბაზრობა“, გაყიდეს ჯეჯილი და სააღდგომოდ ქველმოქმედებისთვის გამოიყენეს.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	✅გაკვეთილზე მოსწავლეებს განუვითარდათ მეწარმეობის უნარები; ✅დაგეგმვისა და ფინანსების მართვის უნარები; ✅სოციალური პასუხისმგებლობის და ემპათიის უნარები;